ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№4-1/ფ 1253-21

"22" 09 2021 წ.

დადგენილება №000771
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

22.09.2021წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ზურაბ მამსიკაშვილმა განვიხილე 2021 წლის 22 სექტემბრის №000771 შემოწმების აქტი, შედგენილი **შ.პ.ს. "მოდერნ ჰაუს დეველოპმენტის"** (საიდენტიფიკაციო №406323964; მის: ქ. თბილისი, ქიზიყის ქუჩა, №63) მიმართ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა, №63, №01.19.24.007.108 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, შ.პ.ს "მოდერნ ჰაუს დეველოპმენტის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, განხორციელებულია სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, კერძოდ, შენობა №1, №2 და №3 ფასადებზე ნაწილობრივ დემონტირებულია კედლები, აგრეთვე დემონტირებულია გადახურვის ფილები და სახურავზე მოწყობილია ხის კონსტრუქციები.

2021 წლის 22 სექტემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000771 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ."

საქმეშია, მხარის №10/0121265164-17 04.11.2021წ. განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება 2021 წლის 22 სექტემბრის №000771 შემოწმების აქტით დაფიქსირებულ დარღვევებს და მოთხოვნილია კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "მოდერნ ჰაუს დეველოპმენტის" მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა, №63, №01.19.24.007.108 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, განხორციელებულია სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, კერძოდ, შენობა №1, №2 და №3 ფასადებზე ნაწილობრივ დემონტირებულია კედლები, აგრეთვე

დემონტირებულია გადახურვის ფილები და სახურავზე მოწყობილია ხის კონსტრუქციები.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 და № 257 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 127-ე მუხლის 3-ე ნაწილით, 127-ე მუხლის 2-ე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 131-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. **შ.პ.ს. „მოდერნ ჰაუს დეველოპმენტი"** დაჯარიმდეს 20 000 (ოცი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა, №63, №01.19.24.007.108 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, განხორციელებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო (შენობა №1, №2 და №3 ფასადებზე ნაწილობრივ დემონტირებული კედლების, აგრეთვე დემონტირებული გადახურვის ფილებისა და სახურავზე მოწყობილი ხის კონსტრუქციების) სამუშაოებისათვის;

2. №01.19.24.007.108 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დაევალოს, ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა, №63, №01.19.24.007.108 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე სახურავზე მოწყობილი ხის კონსტრუქციების დემონტაჟი;

3. **შ.პ.ს. „მოდერნ ჰაუს დეველოპმენტ"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამშენებლო სამართალდარღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. „მოდერნ ჰაუს დეველოპმენტ"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამშენებლო სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში), სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამშენებლო სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე ზ. მამსიკაშვილი

საგადახდო დავალება
Payment Order

1632825521

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 28/09/2021

გადამხდელი / Sender

შპს მოდერნ ჰაუს დეველოპმენტი

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE10TB7407436080100011

თანხა / Amount

20,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

ბანკის კოდი / Bank Code

JSC TBC Bank | *TBCBGE22*

თანხა სიტყვიერად
Amount in words

Twenty thousand Laris and 00 Tetris

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე
Tax Payment - Information About Tax Payer

დასახელება / Name *Modern House Development LTD*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 406323964

მიმღები / Receiver

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება 000771 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ბანკის საკომისიო / Bank commission

14.00 GEL

სტატუსი / Status

Finished

შემქმნელი / Created by

GEORGE GVINADZE

შემმოწმებელი / Checked by

მაავტორიზებელი / Signed by

GEORGE GVINADZE

ხელმოწერა
signature